ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №176

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

21 ნოემბერი 2016 წელი

დ. ადიგენი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის.: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე ,,ბეგლარ საგინაძე" (მის: დ. ადიგენი, სოფელი ზარზმა, ს/კ 03001004433, ა/ა GE25LB0112141410965000, სს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი ბეგლარ საგინაძის სახით შემდგომში ,,მიმწოდებელი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მომსახურების შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს სამსახურებისათვის საჭირო საწვავი შეშის დაჭრის, დაჩეხვისა და დალაგების მომახურების შესყიდვა.
-კლასიფიკატორის კოდი - 98300000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება გამოისახება ლარებში და შეადგენს 1600 (ერთიათასექვსასი) ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდოდ ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.
4.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

5 მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება იწარმოებს 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით;
5.2 მიწოდების ადგილია: დ. ადიგენი, თამარ მეფის №5;

6. გაწეული მომსახურეობის ხარისხი

6.1 გაწეული მომსახურეობის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს 80 m^3 საწვავი შეშის დახერვა 35-სმ სიგრძის ბოლკოებად, დაჩეხვა და დალაგება ,,შემსყიდველის" მიერ მითითებულ ადგილზე.
7.2 ,,შემსყიდველი პასუხისმგებელია შესრულებული მომსახურეობის ღირებულების დროულ ანაზღაურებაზე.

8.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ფროს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დადმდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია სრული დასაბუთებით;

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12 .ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მხარეებს დაეკისრებათ ჯარიმა ერთჯერადად, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.2. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება „მიმწოდებლისაგან" ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: თუ „მიმწოდებლის" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

12.4. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე იმ შემთხვევებში თუ:

ა) „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადაკისრება მესამე პირისათვის შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ.

14.ინსპექტირების პირობები

14.1 ,,შემსყიდველს'' აქვს უფლება მომსახურების დროს განახორციელოს კონტროლი მომსახურების შესრულებაზე;

14.2 ინსპექტირებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფი - ბესიკ ბოჩიკაშვილის ხელმძღვანელობით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა
დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162;

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ენდელაძე

მწოდებელი"

ინდ. მეწარმე ,,ბეგლარ საგინაძე'';
დ. ადიგენი, სოფელი ზარზმა;
სს ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი LBRTGE22;
ს/კ 03001004433 ა/ა GE25LB0112141410965000;

ი/მ: ბეგლარ საგინაძე